



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### დიდი კოჭობა



დიდი კოჭობა (*Carpodacus rubicilla*), ფრინველი მთიულასებრთა ოჯახისა.

სხეულის სიგრძე 20 სმ, გავრცელებულია კავკასიის, შუა და ცენტრ. აზიის მთიანეთში, ტიბეტში, ჰიმალაიზე, ალთაიში. საქართველოში ბინადრობს ზამთარში, დიდთოვლობისას მომთაბარეობს ვერტ. მიმართულებით ალპ. მდელოებზე, ზ. დ. 2000 მ ზევით. ზამთარში კენკროვანი ბუჩქნარით დაფარულ მთის მდინარისპირა ველებზე ჩამოფრინდებიან. გაზაფხულზე წყვილდებიან, სხვა დროს გუნდებად ცხოვრობენ. დებენ 3-4 (6-მდე) ცისფერ, მუქწინწკლებიან კვერცხს. იკვებებიან მარცვლეულითა და, შესაძლოა, მწერებითაც. სიმცირის გამო შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“. ცნობილია დ. კ-ს რამდენიმე ქვესახეობა, რთაგან საქართველოში გვხვდება კ ა ვ კ ა ს ი ს დ ი დ ი კ ოჭ ო ბ ა (*C. R. rubicilla*).

დიდი კოჭობა

**რ. ჟორდანი**

---